

2003 წლის პრაცის დეკლარაცია

პარლინის შემდეგ: უნივერსიტეტების როლი 2010 წლამდე და სამომავლოდ

გრაცია, 2003 წლის 30 მაისი

1. უნივერსიტეტებს ცენტრალური როლი ეკუთვნით ევროპული საზოგადოების განვითარებაში. ისინი ქმნიან, იცავენ და ავრცელებენ ცოდნას, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობისათვის ადგილობრივ, რეგიონულ და მსოფლიო დონეზე. ისინი ხელს უწყობენ ევროპული ღირებულებებისა და კულტურის განვითარებას.
2. უნივერსიტეტები ხელს უწყობენ "ცოდნის ევროპას", რომელიც მთელ კონტინენტზე უნივერსიტეტების წიაღში როგორც დამოუკიდებელად, ისე პარტნიორული თანამშრომლობის გზით ჩამოყალიბებულ ძლიერ კვლევით ტრადიციებსა და კვლევაზე ორიენტირებულ განათლებას ეფუძნება. კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნება ამდიდრებს სწავლებისა და კვლევის პროცესებს.
3. ევროპული უნივერსიტეტების განვითარება ეფუძნება რამდენიმე ძირითად ღირებულებას, რგორცაა: თანასწორობა და ხელმისაწვდომობა; კვლევა და განსწავლულობა ყველა დისციპლინაში, როგორც უმაღლესი განათლების ინტეგრალური ნაწილი; სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხი; კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნება.
4. სტუდენტები აკადემიური საზოგადოების წამყვანი პარტნიორები არიან. ბოლონის რეფორმებმა უნდა გააადვილოს ყოველი სტუდენტისთვის მოქნილი და ინდივიდუალური სასწავლო პირობების შექმნა; კურსდამთავრებულთა დასაქმების გაუმჯობესება და ჩვენი უნივერსიტეტების მიმზიდველობის გაზრდა ევროპისა და სხვა ქვეყნების სტუდენტებისათვის.
5. ევროპული უნივერსიტეტების აქტივობა მასშტაბურია, ისინი ხელს უწყობენ ინოვაციებსა და მდგრად ეკონომიკურ ზრდას. კონკურენტუნარიანობა და მაღალი ხარისხი შესაბამისობაში უნდა იყოს სოციალურ თანადგომასა და ხელმისაწვდომობასთან. ბოლონის რეფორმები მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული, თუ უნივერსიტეტები შეეცდებიან კონკურენტუნარიანი გახდნენ მსოფლიო მასშტაბით და ხელი შეუწყონ სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას მთელ ევროპაში.
6. უნივერსიტეტებმა უნდა შეინარჩუნონ ხარისხის, მართვისა და ლიდერობის მაღალი დონე.

უნივერსიტეტები როგორც საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა

7. მთავრობებს, უნივერსიტეტებსა და მათ სტუდენტებს საერთო ხედვა უნდა გააჩნდეთ "ცოდნის ევროპის" შესახებ. უნივერსიტეტებს ხელი უნდა შეეწყოს მრავალმხრივ განვითარებასა და დაფინანსების სხვადასხვა წყაროების მოპოვებაში. უმაღლესი განათლება უპირველეს ყოვლისა განიხილება როგორც უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, რათა შენარჩუნებულ იქნეს ძირითადი აკადემიური და სამოქალაქო ღირებულებები, გაუმჯობესდეს მიღწევების დონე და ხელი შეეწყოს უნივერსიტეტებს, შეასრულონ მნიშვნელოვანი პარტნიორული როლი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების საქმეში.
8. მთავრობებმა უნივერსიტეტებს უნდა მიანიჭონ შესაბამისი უფლებამოსილებები და გააძლიერონ მათი ავტონომია სტაბილური საკანონმდებლო და ფინანსური გარემოს მეშვეობით. უნივერსიტეტები მზად არიან ანგარიშგებისათვის და პასუხისმგებლობას იღებენ გაატარონ რეფორმები სტუდენტებსა და ყველა დაინტერესებულ მხარესთან მჭიდრო კავშირში, გააუმჯობესონ ინსტიტუციური ხარისხი და სტრატეგიული მენეჯმენტის შესაძლებლობები.

კვლევა როგორც უმაღლესი განათლების განუყოფელი ნაწილი

9. მჭიდრო კავშირი უმაღლეს განათლებასა და კვლევებს შორის უმნიშვნელოვანესია ევროპული უმაღლესი განათლებისათვის და ევროპული უნივერსიტეტების განმსაზღვრელ მახასიათებელს წარმოადგენს. მთავრობებმა უნდა გაითვალისწინონ ეს ურთიერთდამოკიდებულება და ხელი შეუწყონ უმაღლესი განათლებისა და კვლევის ევროპულ სივრცეებს შორის კავშირის

გაძლიერებას, როგორც ევროპული კვლევების შესაძლებლობების და ევროპული განათლების მიმზიდველობის გაუმჯობესების საშუალებას. შესაბამისად, მათ სრულად უნდა აღიარონ დოქტორანტურის დონე, როგორც სწავლების მესამე საფეხური ბოლონიის პროცესში. უნივერსიტეტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ კვლევაზე ორიენტირებულ სწავლებასა და სწავლაზე მთელ ევროპაში. სტუდენტები ყველა დონეზე უნდა მონაწილეობდნენ კვლევებში და კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებაში, რათა დააკმაყოფილონ ევროპის, როგორც განათლებული საზოგადოების, მოთხოვნილებანი.

10. ევროპის უნივერსიტეტების მრავალფეროვნება ხელს უწყობს მათ შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარებას, დაფუძნებულს განსხვავებულ ინტერესებზე, მისიასა და სიძლიერეზე. ევროპაში თანამშრომლობისა და მობილობის პროგრამების განვითარება დოქტორანტურისა და მის შემდგომ საფეხურებზე, მაგალითად, ერთობლივი სადოქტორო პროგრამების შემუშავების გზით, მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლებისა და კვლევის ევროპულ სივრცეთა დაკავშირებას.

ხარისხის გაუმჯობესება ინსტიტუციური გაძლიერების გზით

11. ლიდერობის, ხარისხისა და სტრატეგიული მენეჯმენტის არსებობა თითოეულ სასწავლებელში წარმოადგენს რეფორმების წარმატებული განხორციელების წინაპირობას. მთავრობებმა უნდა შექმნან ისეთი პირობები, რომ უნივერსიტეტებმა შეძლონ გრძელვადიანი გადაწყვეტილებების მიღება შიდა სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და ადმინისტრირების საკითხებში; როგორცაა, მაგალითად, სტრუქტურა, ინსტიტუციურ დონესა და ფაკულტეტებს შორის ბალანსი და შრომითი რესურსების მენეჯმენტი. მთავრობასა და უნივერსიტეტებს შორის მოლაპარაკებათა საფუძველზე უნდა დაიდოს ხელშეკრულებები იმ ვადით, რომელიც საჭირო იქნება სიახლეების დასანერგად.

12. უნივერსიტეტებმა, თავის მხრივ, უნდა წაახალისონ ლიდერობა და შექმნან მართვის ისეთი სტრუქტურა, რომელიც საშუალებას მისცემს მათ ჩამოაყალიბონ ხარისხის უზრუნველყოფის საყოველთაოდ გასაგები შიდა სისტემა, ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა. სტუდენტებმა ამ პროცესში მონაწილეობა უნდა მიიღონ შესაბამის კომიტეტებში საქმიანობის გზით. გარეშე დაინტერესებულმა მხარეებმა ამ პროცესს ხელი უნდა შეუწყონ მმართველობითი, თუ საკონსულტაციო საბჭოების მეშვეობით.

ბოლონიის პროცესის დაჩქარება

13. ბოლონიის პროცესმა თავიდან უნდა აიცილოს ზედმეტი რეგლამენტირება და სანაცვლოდ, განავითაროს საერთო ორიენტირები და კურსების კლასიფიკატორები.

14. სამსაფეხურიანი სისტემის შექმნა (რომლის მესამე საფეხურია დოქტორანტურა) მოითხოვს ცვლილებებს. უნივერსიტეტები თავიანთ სამოქმედო პრიორიტეტებად მიიჩნევენ:

- კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS), როგორც კურიკულუმის რესტრუქტურისა და განვითარებისათვის აუცილებელი მექანიზმის შემოღება, რათა შეიქმნას სტუდენტზე ორიენტირებული და მოქნილი სასწავლო მეთოდოლოგია, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ჩათვლით;
- ევროპის დონეზე კვალიფიკაციის სტრუქტურისა და სწავლის შედეგების საერთო განსაზღვრების შემუშავება და განხილვა, კურიკულუმთან მიმართებაში მრავალფეროვნებისა და სასწავლებლების ავტონომიის შენარჩუნებით;
- აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, პროფესიული ორგანიზაციებისა და დამსაქმებლების ჩართვა კურიკულუმის რეფორმის პროცესში ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხებისათვის საჭირო უფლებების მინიჭების მიზნით;
- კურიკულუმებში დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განსაზღვრა და პირველი საფეხურის პროგრამების საშუალებით შრომის ბაზარზე დასაქმების უზრუნველყოფა;
- ინფორმაციის გავრცელება დიპლომის დანართის შესახებ მსოფლიოში გავრცელებულ ძირითად ენებზე, პროფესიულ ორგანიზაციებისა და დამსაქმებლებისათვის მისი გაცნობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების გაადვილების მიზნით.

მობილობა და სოციალური განზომილება

15. სტუდენტების მობილობა თავისთავად ხელს უწყობს ხარისხს. სწავლისადმი განსაკუთრებული მიდგომების მეშვეობით იგი აუმჯობესებს სწავლებისა და კვლევის ხარისხს. იგი ზრდის დასაქმე-

ბის შესაძლებლობებს. თანამშრომელთა მობილობასაც მსგავსი უპირატესობები აქვს.

16. თუ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე რეალობად იქცევა, მთავრობებმა უნდა გააუქმონ მობილობისათვის ხელის შემშლელი ბარიერები, შეასწორონ კანონმდებლობა სტუდენტების მხარდასაჭერად, მაგალითად, სხვა სასწავლებელში სასწავლო გრანტებისა და სესხის გადატანის შესაძლებლობით, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური მომსახურებისა და მუშაობის უფლების შესახებ რეგულაციების გაუმჯობესებით.

17. მთავრობებმა და უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სტიმული უნდა მისცენ მობილობას სტუდენტთა მხარდაჭერის გაუმჯობესებით (მათ შორის, სოციალურ საკითხების, საცხოვრებელი ადგილითა და არასრული განაკვეთის სამუშაოთი უზრუნველყოფა), აკადემიური და პროფესიული კონსულტაციებით, ენის სწავლებითა და კვალიფიკაციების აღიარებით. სასწავლებლებმა უნდა უზრუნველყონ მობილობის ხელშემწყობი ყველა მექანიზმის გამოყენება, განსაკუთრებით კი, კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემისა და დიპლომის დანართის. ხელი უნდა შეეწყოს მოკლევადიან მობილობას და დისტანციური სწავლებისა და დიპლომის შემდგომი საფეხურის სტუდენტთა მობილობას.

18. უნდა გაუმჯობესდეს კარიერის ზრდის შესაძლებლობა ახალგაზრდა მეცნიერებისა და მასწავლებლებისათვის, რათა ხელი შეეწყოს ახალგაზრდა დოქტორების სამუშაო მობილობას, ევროპაში დარჩენას ან დაბრუნებას. გენდერული პერსპექტივისთვის საჭიროა განსაკუთრებული ზომების მიღება ოჯახებისათვის, სადაც აკადემიური კარიერა ოჯახის ყველა წევრისათვისაა ხელმისაწვდომი. პენსიების ტრანსფერზე დაწესებული აკრძალვები უნდა შეიცვალოს პენსიების გადატანითა და სოციალური შეღავათების სხვა ფორმით.

19. სწავლებასა და კვლევაში ქალის როლის გაზრდა ძალიან მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანი ევროპისათვის. გენდერული თანასწორობა ხელს უწყობს სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას და უნივერსიტეტებმა უნდა განავითარონ იგი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის საშუალებით.

20. ანგარიშიდან - "2003 წლის ტენდენციები" - კარგად ჩანს, რომ საინფორმაციო ბაზა მობილობის საკითხებთან დაკავშირებით არ არის ადეკვატური. მთავრობებმა უნდა ითანამშრომლონ სტატისტიკური მონაცემების გასაუმჯობესებლად. ასევე აუცილებელია ევროკომისიასთან თანამშრომლობა არსებული მონიტორინგის მექანიზმების შემოწმებისათვის. მეტი კვლევაა ჩასატარებელი უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის განვითარების საკითხებზე.

21. ერთობლივი პროგრამები და აკადემიური ხარისხები, რომლებიც ინტეგრირებულ კურიკულუმს ეყრდნობა, საუკეთესო საშუალებაა ევროპული თანამშრომლობის გასაძლიერებლად. მთავრობებმა უნდა გააუქმონ ერთობლივი ხარისხების მინიჭებასა და აღიარებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ბარიერები და ასევე გაითვალისწინონ შესაბამისი დაფინანსება აღნიშნული თანამშრომლობისათვის.

22. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა განსაზღვრონ ერთობლივი პროგრამების საჭიროება და შემდგომ შეიმუშაონ ისინი, ხელი შეუწყონ მიმდინარე საპილოტო პროექტებიდან საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას და უზრუნველყონ მაღალი ხარისხი, სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების განსაზღვრის და კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის ფართომასშტაბიანი გამოყენების მხარდაჭერის გზით.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ევროპისათვის

23. ბოლონის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფა მთავარი საკითხია და მისი მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება. ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია გვთავაზობს ევროპისათვის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას, დაფუძნებულს რწმენაზე, რომ სასწავლებლების ავტონომია ქმნის და მოითხოვს პასუხისმგებლობას, უნივერსიტეტები პასუხისმგებელნი არიან სწავლებისა და კვლევის შიდა ხარისხის კულტურის განვითარებაზე და რომ აღნიშნულის განვითარება ევროპის დონეზე, ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, აუცილებელ შემდგომ ნაბიჯს წარმოადგენს.

24. შიდა ხარისხის კულტურა და ეფექტური პროცედურები ხელს უწყობს ინტელექტუალურ და სასწავლო მიღწევებს. ეფექტური ლიდერობა, მენეჯმენტი და ხელმძღვანელობა, ასევე, სტიმულს აძლევს ასეთ მიღწევებს. სტუდენტების აქტიური მონაწილეობით უნივერსიტეტებმა უნდა გააკონტროლონ და შეაფასონ საკუთარი მოღვაწეობა ყველა სფეროში, საგანმანათლებლო პროგრამებისა

და მომსახურების დეპარტამენტების ჩათვლით. ხარისხის უზრუნველყოფის გარე პროცედურები, სასწავლებლების აუდიტის მეშვეობით, უნდა ამოწმებდნენ შიდა მონიტორინგის ეფექტურობას.

25. ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულმა განზომილებამ, ეროვნული კონტექსტისა და საგანთა არეალის გათვალისწინებით, უნდა გააუმჯობესოს ურთიერთნდობა და გამჭვირვალობა.

26. ევროპაში ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების მიზანია: სწავლებისა და კვლევის, ასევე ორგანიზაციული ხარისხის გაუმჯობესება, ინსტიტუციური ავტონომიის პატივისცემა, შიდა ხარისხის კულტურის განვითარება, ხარჯების ეფექტიანობა, ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების შეფასებათა გათვალისწინება, ბიუროკრატისა და ხარჯების შემცირება და ზედმეტი რეგულირების თავიდან აცილება.

27. ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია გვთავაზობს, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა და განსაკუთრებით უნივერსიტეტებმა უნდა ითანამშრომლონ "ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის კომიტეტის" შექმნის საკითხში. ეს ორგანიზაცია უნდა იყოს დამოუკიდებელი, პატივისცემდეს უნივერსიტეტების პასუხისმგებლობას ხარისხის უზრუნველყოფის საკითხში და რეაგირებდეს საზოგადოების პრობლემებზე. მან უნდა უზრუნველყოს სადისკუსიო ფორუმების ორგანიზება და მცირე საბჭოს შექმნის საშუალებით გააკონტროლოს შემოთავაზებული პრინციპების კოდექსის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფის ჭეშმარიტად ევროპული განზომილების განვითარებას.

უნივერსიტეტები რეფორმის ცენტრში

28. ბოლონიის პროცესს თავიდან პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა, მაგრამ ახლა იგი იძენს მამოძრავებელ ძალას მასში ნებაყოფლობით ჩართული პარტნიორების - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, მთავრობების, სტუდენტების და სხვა დაინტერესებული მხარეების - აქტიური მონაწილეობით. ზემოდან ქვემოთ მიმართული რეფორმები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ 2010 წლამდე მიღწეულ იქნეს დასახული ამბიციური მიზნები. ამჟამად მთავარია რეფორმების სრული ინტეგრირება ინსტიტუციურ ფუნქციებსა და განვითარების პროცესებში თვითრეგულირებადი სისტემის შესაქმნელად. უნივერსიტეტებს უნდა მიეცეთ დრო საკანონმდებლო ცვლილების გასატარებლად აკადემიურ მიზნებსა და ინსტიტუციურ რეალობაში.

29. მთავრობებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა გააცნობიერონ ინსტიტუციური ინოვაციების მოცულობა და ის უმნიშვნელოვანესი როლი, რომელიც უნივერსიტეტებს აქვთ ევროპული კვლევითი სივრცისა და ევროპული ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების გრძელვადიანი განვითარების პროცესში, როგორც ეს აღნიშნულია ევროკავშირის ლისაბონის დეკლარაციაში. ერთობლივი ქმედებით, ევროპული უმაღლესი განათლება, რომელიც ეხება ევროპის მოსახლეობის ნახევარზე მეტს, შეძლებს კონტინენტის გაუმჯობესებას.